სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

18 სექტემბერი 2024

N 05/3019

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ასლი: შპს „თბილავიამშენს“

ბატონო ირაკლი,

თქვენი, 2024 წლის 09 სექტემბრის №6/51918 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თბილისის აეროდრომის დაცვის არეში მდებარე მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდით 01.19.33.015.100 პრივატიზების საკითს, გაცნობებთ, რომ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა და კომენტარი არ გააჩნია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმებას ექვემდებარება იმ შენობა-ნაგებობების განთავსება, რომელთა სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან (MSL), EGM-96 სისტემაში (დედამიწის 1996 წლის გრავიტაციული მოდელი) აღემატება აეროდრომის რაიონის შეზღუდვის არეალით დადგენილ სიმაღლეებს, რა დროსაც სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე - https://gcaa.ge/aerodrome-safeguarding/.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული მიწის ნაკვეთი მდებარეობს აეროდრომი „ველი“-ს სიახლოვეს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული საკითხი შეთანხმებულ იქნას აეროდრომის მფლობელთან.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა